

განუმეორებელი მატჩი

ყველაფერი სწრაფად და მოულოდნელად მოხდა. სულ რამდენიმე წუთი გავიდა, რაც მსაჭმა თამაშის დაწყების ნიშანი მისცა. როგორც ყოველთვის ასეთ მატჩებში მოთამაშები დაზვერვისათვის მოემზადნენ, რამდენიმე უმნიშვნელო და ფრთხილი კომბინაცია გაითამაშეს და მონინააღმდეგის სუსტი ადგილების შეთვალიერებას შეუდგნენ. ბურთმა ერთხანს მოედნის ცენტრში იტრიალა, შემდეგ თბილისელთა საჯარიმო მოედნისაკენ გადაინაცვლა. მცირე ბრძოლის შემდეგ თბილისის "დინამოს" რომელიმაც მცველმა ბურთი პირის ხაზს იქით გადააგდო. ცდკას მარჯვენა გარემარბმა კუთხერი მოაწოდა.

მერე რა! ასეთი კუთხერი მოწოდება მრავლადაა ყოველ თამაშში. მცველებიც და მეკარეც აღრევე ემზადებიან ბურთის მოსაგერიებლად, მონინააღმდეგებს ფარავენ და მეტნილად თვითონ ეუფლებიან ბურთს. აი ახლაც, ფრთლოვი და შავგულიძე წამოვიდნენ ბურთისაკენ. წამოვიდნენ მაგრამ...

მაგრამ დოროხოვმა ვერც კი მოასწრო თვალი, როგორ შემოიჭრა საჯარიმო მოედანზე შჩერბატენკო, როგორ დაასწრო ფრთლოვს, შავგულიძესაც და თავით მკვეთრად და ზუსტად შუცვალა ბურთს მიმართულება. არც თავისი ნახტომი ახსოვს დოროხოვს. ან რა საჭირო იყო - გამოცდილი მეკარის ალლოთი იგრძნო, რომ ამ ბურთს ვერ მიუსწრებდა.

ან როგორ, როდის და საიდან შემოვარდა მოსკოველი ასე შეემჩნევლად? ვინ დააგვიანა - მეკარემ თუ მცველებმა? ახლა უკან მიხედვაც ეზარება თბილისელების მეკარეს. წევს ზედ კარის ხაზზე და მის ზურგს უკან ბურთი გდია, ბადიდან უნდილად და მორჩილად ძირს ჩამოვარდნილი.

განა ამგვარად უნდა დაწყებულიყო მატჩი, რომლისთვისაც ასე ემზადებოდნენ დინამოელები? ამ ერთ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მოსკოველებს მეორე ადგილისათვის ერთი ქულა, ერთადერთი ქულაც ყოფნით, თბილისელებს კი მხოლოდ გამარჯვება, მხოლოდ ორი ქულა მოუტანს ამ მეორე ადგილს.

თითქოს ყველაფერი გაანგარიშებული, აწონილი და გაზომილი იყო - დროც და მანძილიც, შეტევაც და მოგერიებაც, მოსალოდნელიცა და მოულოდნელიც. მაგრამ...

თბილისელები თამაშს ცენტრიდან იწყებენ. თავდამსხმელებმა მაშინვე სწრაფად, მედგრად და ერთად შეუტიეს. ჰექელავამ ბურთი რამდენქურმე მოატარა თავის ფრთაზე, არმიელთა მცველი ოსტატურად მოატყეა და უახლოეს მეზობელს ბერძენიშვილს გადააწოდა, რომელმაც წინ წაიწა, მოედანი შეათვალიერა და ბურთი პაიჭაძეს გაუგორა. ახლა ბორისმა გაიტაცა იგი, სულ ახლოს მივიდა კართან. ძლივს მოიგერიეს არმიელებმა თბილისელები, მაგრამ ისევ გამოჩნდნენ დინამოელები საჯარიმო მოედანთან. პაიჭაძემ ხარბედიასაგან მიიღო ბურთი, შეუკავებელი დრიბლინგით გაუსხლტა მცველებს და საჯარიმო მოედანში ოდნავ შესულმა, მარცხენა ფეხით ძლიერად დაარტყა. დაარტყა და არმიელების მეკარის - მოქნილი და მარდი ლეონოვის მოსხლეტილმა ნახტომმაც საოცრად გაიელვა პაერში, მაგრამ იმ კუთხეს, ფეხბურთის მცოდნენი ცხრიანს რომ უწოდებენ, ვერ მიწვდა.

მაშ ასე, ანგარიში გათანაბრდა და თამაშიც თავიდან იწყება. ფედოტოვმა ცენტრიდან ბურთი შჩერბატენკოს გადააწოდა, მან კაპელკინს, და არმიელთა წითელი მაისურები წინ დაიძრნენ. საკვირველია, მოსკოველები თითქოს არც ჩქარობენ, თითქოს დუნედაც დაბიძან, მაგრამ ბურთი საოცარი სისწრაფით მოძრაობს მაშ შორის, თავდამსხმის ხეთეული ზესტადაა შეწყობილი, მოთამაშებს ზედმინევნით ესმით ერთმანეთის, მეზობლის მხარს ალლოთი გრძნობენ და როგორლაც ახერხებენ გავიდნენ იქ, სადაც არც მონინააღმდეგეა, ადგილიც თავისუფალია და ბურთიც მყისევ მიდის. მოსკოველებმა "მეორე ეშელონიც" დაძრეს წინ, ორივე ნახევარმცველი - ვინოგრადოვი და მიხაილოვი წამოჰყვნენ თავდამსხმელებს და საჯარიმო მოედანზე შემოვიდნენ.

აი სტუმრები მარცხენა ფრთიდან უტევენ. მიხაილოვმა შორს, მოედნის სილრმეში დაიწყო კომბინაცია. ბურთმა ზუსტი მისამართით იმოგზაურა წითელმასურიანებს შორის და ფედოტოვთან მოხვდა. ფედოტოვმა სულ მცირე ხნით გააჩერა ბურთი. გააჩერა იმ დრომდე,

ვიდრე კაპელუკინი გავიდოდა თავისუფალ ადგილზე და შემდეგ მშვიდად და ზუსტად გაგზავნა მასთან. დოროხოვმა მაშინვე შეამჩნია, რომ ფედოტოვი არ დაარტყამდა კარში, რადგან მის ცალ მხარეს ფროლოვი ფარავდა, ხოლო მეორეს თვითონ დარაჯობდა. ის ადგილი კი, სულ მცირე, პატარა ადგილი, თავისუფალი იყო.

ახლა იქითვენ გრიგალივით მიპქრის კაპელუკინი. როგორ შეკუმშულა მოსკოველი, რა მრისხანე იერი აქვს ამ ქერათმიანს!

ერთი ნაბიჯილა დარჩა კაპელუკინს ბურთამდე, მხოლოდ ერთი. დოროხოვმა უკანასკნელად შეავლო თვალი მოსკოველთა თავდამსხმელს, და გაფრინდა... მეკარე არც შემცდარა, არც დაბნეულა, მაგრამ უყმბარისებურად დარტყმულ ბურთს მაინც ვერ მიუსწრო.

არმიელთა გარემარბი სწრაფად მირბის კარისკენ. არჩილ კიკნაძემ გზა გადაუჭრა მოსკოველს, მიუახლოვდა, ის იყო ფეხიც შემართა, მაგრამ თავდამსხმელმა ანაზღად გვერდი აუხვია მცველს, მკვეთრად შემოტრიალდა და პირისპირ შერჩა მეკარეს. "გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო". – არჩილმა ფეხი გამოსდო არმიელს, წააქცია და თვითვე წამოაყენა ფეხზე.

ცხადია! მსაჯი გაბმით უსტვენს და იმ თეთრი წერტილისაკენ ანიშნებს, რომელიც კარიდან თერთმეტი მეტრითაა დაშორებული.

კაპელუკინი ბურთიდან მხოლოდ ერთი ნაბიჯის მოშორებით დგას. ასე არტყამს იგი თერთმეტმეტრიანს. გადმოდგამს იმ ერთ ნაბიჯს, დაარტყამს და ბურთი ტყვიასავით მიდის კარში. ახლაც ასე დაარტყა – მკვეთრად, მაღლა, ძლიერად. ცოტა ხნის შემდეგ დოროხოვმა მეოთხე ბურთიც გამოიტანა ბადიდან.

არცერთ დინამოელს თავი არ აუწევია, როცა გვირაბში ჩადიოდნენ შესვენებაზე. გასახდელმი მათ ვიღაცამ ამბავი დაახვედრა, არმიელებმა მოსკოვში დეპეშა გაგზავნეს, პირველი ტამი ითხით ერთი მოვიგეთ, დანარჩენს მეორე ტამში დავუმატებთო.

თბილისელებმა გასახდელის კარი მჭიდროდ ჩაკეტეს და თათბირს შეუდგნენ...

დაიწყო მეორე ტამი. მაშინვე ეკვეთნენ დინამოელები მონინააღმდეგეს, ფიცხლად შეუტიეს და რამდენიმე სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს. მოსკოველები ასეთ იერიშს არ მოელოდნენ, დაფაცურდნენ და გაოცებულნი შერჩნენ თბილისელთა პირისპირ. არცერთი თავდამსხმელი არ იყო ადგილზე. ჰეჭელავას მოედნის ცენტრში გადაენაცვლა, ხარბედია მარცხენა ფრთიდან მარჯვენაზე წასულიყო, პაიჭაძე მოედნის კიდეში გარბოდა და სხვებიც "სადღაც" წასულიყვნენ. წამის შემდეგ დინამოელები ისევ იცვლიდნენ ადგილებს და ისევ იმ "სადღაცაში" ითანცებოდნენ.

სამიოდე წუთის შემდეგ არმიელებმა "დინამოს" თავდამსხმელები ველარ შეაკავეს და იგივე "ხერხი" იხმარეს, რაც პირველ ტამში კიკნაძემ. მცველებმა უკანასკნელ მომენტში მიუსწრეს კარისაკენ მქროლავ ხარბედიას და "მოცელეს" იგი.

მიხელ ბერძენიშვილმა ჩვეულებისამებრ ოსტატურად დაარტყა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო, ლეონოვი ზამბარასავით შეიკუმშა, მოსხლტა და მარცხენა კუთხისაკენ გადახტა, ბურთი კი ნელი ხტომით კარის მარჯვენა კუთხესთან გადაცდა ხაშს, ბადესთან წყნარად მიგორდა და შიგ გაეხვია.

ისევ უტევენ დინამოელები. უტევენ დაუინებით, გულმოდგინედ, შეუსვენებლად. მოსკოველებმა უკან, დაცვაში გადაიყვანეს ნახევარმცველებიც, შუამარბებიც, მაგრამ თბილისელთა შეჩერება შეუძლებელი გახდა.

ან რა სისტემით თამაშობენ ეს დინამოელები, რომ არც ერთი თავის ადგილზე არაა და მაინც ყოველი მათგანი იქაა, სადაც საჭიროა? ან როგორ ახერხებენ ასეთ სისწრაფეში და ამდენ მოძრაობაში წესრიგის დაცვას? ნახულა, სადმე გავონილა, რომ ხუთივე თავდამსხმელს თავისი ადგილი დაეტოვებინოს და ასე თავგზა აებიოს მონინააღმდეგისათვის?

აი პაიჭაძემ მარჯვიდან მიიღო გადაცემა, ოდნავ შეაჩერა ბურთი და სამ მცველს დაუსხლტა ზედიზედ, ნიაფივით ჩაუქროლა გაოგნებულ არმიელებს და ჰეჭელავას გადააწოდა, რომელმაც მყისვე ძლიერად დაარტყა კარში. დარტყმა გაჭირვებით დააბრუნა უკან ლეონოვმა,

მავრამ ხარბედია, რომელიც ყოველთვის ალღოთი პოულობდა ასეთ დროსა და ადგილს, წამსვე გაჩნდა იქ და...

ისევ ფეხზე დგანან მაყურებლები. ისევ მძლავრად ისმის ომახიანი ყიუინა, ისევ ცენტრიდან იწყებენ მოსკოველები.

ისევ შეუკავებელ ღვარად მოდიან დინამოელები. ისინი ელვასავით დაჰქრიან მოედანზე, დაუღალავად უტევენ, შეუჩერებლად ანაწილებენ ბურთს და მოწინააღმდეგეს სულის მოთქმას არ აცლიან.

ის ბურთი ხარბედიამ საჯარიმო მოედნის გარეთ მიიღო. მიიღო და იქით გაიწია, საიდანაც პაიჭაძემ ახლახან „წაიყვანა“ მცველი. გაიწია, გავიდა და კარს შეხედა. შეიძლება დარტყმა? ახლოა. შეიძლება. დაარტყა. ხარბედიას არც თვალმა უღალატა, არც ფეხმა. ანგარიში 4:4 გახდა.

თბილისელებმა ერთხელ კიდევ შეუტიეს. თამაშის დამთავრებამდე ხუთიოდე წუთიღა იყო დარჩენილი და მოსახდენი უნდა მომხდარიყო. გაიოზ ჟეჟელავამ კარგა ხანს იტრიალა ბურთით არმიელთა საჯარიმო მოედანზე და დრო იხელთა თუ არა, უცბად და ანაზღად დაარტყა.

მეხუთე გოლი, მეხუთე! თბილისელები ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, ეხვეოდნენ გაიოზს. ჰკოცნიდნენ.

მოსკოველებმა მაშინვე სწორი გადაწყვეტილება მიიღეს – ან 4:6 ან 5:5, და მთელი გუნდით წავიდნენ წინ. ნახევარმცველები საჯარიმო მოედანზე დასახლდნენ, მცველები ცენტრის ხაზს გადმოცდნენ და მეკარეც კი თითქმის მოედნის შუაგულამდე მივიდა.

და როცა თამაშის დამთავრებას ნახევარი წუთი აკლდა, გრიგოლ ფედოტოვმა სულ ახლოდან დაბალი, მოულოდნელი და ძლიერი ბურთი გაგზავნა კარისაკენ.

ალბათ ინსტინქტით მოასწორო დოროხოვმა. სწრაფად გასწია მარჯვენა ფეხი და სწორედ კარის ხაზთან ოდნავ წაჰკრა ბურთს, რომელიც დაბზრიალდა, ზევით ავარდა და იმ ადგილს სულ მცირედ აუარა, საღაც ორი ძელი ერთდება... იქვე გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა, რომელიც იუწყებოდა ამ უაღრესად საინტერესო შეხვედრის დამთავრებას თბილისელთა სასარგებლოდ, ანგარიშით 5:4.

იმათ, ვინც მაშინ სტადიონის ტრიბუნაზე იჯდა, დღესაც, ცამეტი წლის შემდეგ კარგად ახსოვთ ეს განუმეორებელი, დაუვინარი მატჩი.

რ. ქორქია.

„ლელო“, 7 სექტემბერი 1952 წ.